



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

05 ნოემბერი 2025



N 21/11109

შპს „რუსთავის ფოლადს“

ელ.ფოსტა: contacts@rustavisteel.ge

მის: ქ. რუსთავი, გაგარინის ქ. N12

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი თქვენი 2025 წლის 25 ივლისის N7316 განცხადება, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსებასა და დამუშავებას (წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო). გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ინფორმაცია წყალდაცვით ზოლთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი და არაცალსახაა. კერძოდ, სკოპინგის დასკვნის მიხედვით, მდ. მტკვრის კალაპოტი „წიდასაყარის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 50 მეტრით“, ხოლო გზშ ანგარიშის შესაბამისად, „საამქროში მოქმედი საწარმოო ინფრასტრუქტურა და წიდისა და ჯართის გადამამუშავებისათვის გათვალისწინებული დანადგარების დაცილება მდ. მტკვარის სანაპირო ზოლიდან შეადგენს არანაკლებ 140 მ (მექანიკური უზრუნველყოფის უბნიდან დაცილების მანძილი)“. შესაბამისად, ობიექტის საქმიანობის თავსებადობის საკითხი წყალდაცვითი ზოლის ტექნიკურ რეგლამენტთან გაურკვეველია;
- ამასთან, საწარმოს არეალში, წყალდაცვით ზოლში განთავსებული ძველი სანაყაროდან არსებობს წყალუხვობის დროს წიდის და მისი დამუშავების პროდუქტების მდინარეში მოხვედრის რისკები. როგორც გზშ-ის ანგარიშშია აღნიშნული, სანაყარო „მთელ სიგრძეზე მიუყვება მდინარე მტკვრის ნაპირს და შეჭრილია მდინარის კალაპოტში“. შესაბამისად მოცემული უნდა იყოს და განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს წყალუხვობის პერიოდებში საწარმოს მიმდებარე ტერიტორიის დატბორვასთან დაკავშირებული კანონზომიერებების და კალაპოტის გარკვეულ მონაკვეთში მორფოდინამიკური პროცესების განვითარების რისკებზე;
- ნარჩენების წარეცხვის მიმართ პრევენციული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების მიზნით, ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია ძველ სანაყაროსა და მდ. მტკვრის სანაპიროს შორის ნაპირდამცავი შემოზღინვის და წყალამრიდი კონსტრუქციების მოწყობის შესახებ. აღნიშნულის მიზანშეწონილობის დადგენა და კონსტრუქციის მახასიათებლების განსაზღვრა შესაძლებელია საპროექტო არეალის ჰიდროლოგიური / ჰიდრომეტრიული / მორფომეტრიული პარამეტრების დეტალური გაანგარიშებების საფუძველზე, კერძოდ, სხვადასხვა უზრუნველყოფის საშუალო მრავალწლიური ხარჯების, მათი საანგარიშო უზრუნველყოფის შიგაწლიური განაწილების,

ჩამონადენის მაქსიმალური ხარჯების, მყარი ჩამონადენის, კალაპოტის წარცხვის მაჩვენებლების და ა.შ. განსაზღვრის საფუძველზე, რაც გზშ ანგარიშში წარმოდგენილი არ არის;

- წარმოდგენილი დოკუმენტაცია ჰიდროლოგიური ხასიათის ინფორმაციას საერთოდ არ შეიცავს;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, ქ. რუსთავში, დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსების და გადამუშავების (წიდისა და ჯართის) საამქროს საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მოიცავს მეტალურგიული წარმოების ნარჩენი წიდის სანაყაროს ტერიტორიას (ტექნოგენური საბადო). წარმოდგენილი ტერიტორიის საბადოს კონტურთან თანაკვეთის ნაწილზე წიაღისეულის მოპოვება, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ექვემდებარება ლიცენზირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთან კომუნიკაციის და შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსის დანართი I - ის შესაბამისად აღდგენის ოპერაციის კოდი R12 - ით „R1-დან 11-ის ჩათვლით კოდექსში ჩამოთვლილი ოპერაციების განსახორციელებლად“ გადამუშავების შემდგომ მიღებული ნივთი ან/და ნივთიერება კვლავ წარმოადგენს ნარჩენს. შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია გადამუშავების (დაქუცმაცების) შემდგომ მიღებული ნარჩენების (არალითონური ფრაქცია) შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ;
- გზშ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად გადამუშავებული წიდის განთავსება მოხდება ე.წ წიდასაყარზე, რომელიც ექვემდებარება ისევ გადამუშავებას. შესაბამისად, ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია რამდენჯერ არის შესაძლებელი აღნიშნული ნარჩენის გადამუშავება (აღდგენა);
- გზშ ანგარიშის სხვადასხვა გვერდებზე მოცემული გადასამუშავებელი ნარჩენების რაოდენობა არ შეესაბამება ერთმანეთს. დასაზუსტებელია რა რაოდენობის ნარჩენს გადაამუშავებს კომპანია ერთი წლის განმავლობაში;
- გზშ ანგარიშის თანახმად კომპანია გეგმავს მიიღოს და გადაამუშაოს (R12 აღდგენის ოპერაცია) ნარჩენები სხვა კომპანიებისგან. ასევე, გზშ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად კომპანიის საქმიანობის დროს წლების განმავლობაში წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 4.5-5 მლნ. ტონას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია კომპანიამ გადამამუშაოს მხოლოდ საკუთარი საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი წიდა ან/და სამშენებლო ნარჩენები აღნიშნული რესურსის ამოწურვამდე, რაზეც წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია; გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის თანახმად ადრეულ წლებში ნარჩენი წიდის დასაწყობება ხდებოდა მდ. მტკვრის სანაპირო ზოლში, რომელიც არ არის შპს „რუსთავის ფოლადი“-ს საკუთრება. ხოლო, დღეის მდგომარეობით წყლის ადიდების შემთხვევაში არსებობს რისკი, რომ მოცემული ნარჩენი მოხვდეს უშუალოდ მდ. მტკვარში. აღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს მოცემული გარემოება და წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ მისი დასუფთავების (გადამუშავების) ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართული შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე არსებული ნარჩენების ლაბორატორიული კვლევის შედეგების თანახმად, ბრძმედის და მარტენის წიდების, მათ შორის, მათი გადამუშავების პროდუქტების, ასევე, თბოელექტროსადგურების ნაცრის და ღუმელების მტვერდამჭერი სისტემებიდან მიღებული მტვრის შემადგენლობა მრავალკომპონენტურია და სხვადასხვა ელემენტებთან ერთად, მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შეიცავს ტოქსიკურ ელემენტებს, რომელთა ზუსტი შემცველობა განსაზღვრულია აღნიშნული ლაბორატორიული

კვლევის ანგარიშის 28-ე გვერდზე და მე-4 დანართში. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, წიდის გადატვირთვა/დასაწყობების, შენახვის ან/და გადამუშავების ოპერაციებიდან მხოლოდ არაორგანული მტკერის 70-20% SiO_2 ფრაქციის გაფრქვევების შეფასება არ არის საკმარისი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების სრული სურათის მისაღებად, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ამასთან, წიდის გადამუშავებისას წარმოქმნილი მტკერი წარმოდგენილია როგორც არაორგანული მტკერი 70-20 % SiO_2 შემცველობით, (კოდი 2908) რომლის მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაცია მეტად მკაცრია ვიდრე არაორგანული მტკერის სილიციუმის SiO_2 20%-მდე შემცველობით (კოდი 2909);

- გაბნევის ანგარიშის თანახმად, რომელშიც ფონურ მაჩვენებლებად გათვალისწინებულია გაფრქვევის მაჩვენებლები შპს „დულაბის“ ბეტონის და ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოდან, არცერთი ზემოაღნიშნული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია არ აჭარბებს მოქმედი ნორმებით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ მაჩვენებლებს როგორც საწარმოდან 500 მ-იანი რადიუსის საზღვარზე, ისე უახლოეს მოსახლესა (870 მ) და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთან (70 მ). აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ქ. რუსთავის მოსახლეობის რიცხოვნება შეადგენს 132 333-ს (2023 წლის აღწერის მიხედვით), ხოლო კანონმდებლობით განსაზღვრული მაჩვენებლები გაბნევის ანგარიშში გათვალისწინებული არ არის;
- გზშ-ის ანგარიშზე თანდართულ მონიტორინგის გეგმაში მოცემულია მხოლოდ არაორგანული მტკერის ინსტრუმენტული მონიტორინგი საწარმოს საზღვართან, საცხოვრებელი ზონის მიმართულებით, ასევე, 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე ერთ წერტილში (ქ. რუსთავის მიმართულებით) და მდ. მტკერის სანაპიროზე, რაც გარკვეულწილად მისაღებია, თუმცა აღნიშნული არ არის საკმარისი ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების სრული სურათის მისაღებად. ამასთან, მონიტორინგის გეგმა არ მოიცავს ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებას გაფრქვევის ყველა წყაროსა და ყველა მავნე ნივთიერებაზე;
- ხმაურის გავრცელების დონეების გეგმიური ინსტრუმენტული გაზომვა მხოლოდ კვარტალში ერთხელ არასაკმარისია ზემოქმედების ხარისხზე სრული სურათის მისაღებად, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გადამუშავებული პროექტი, სადაც გათვალისწინებული იქნება გზშ-ის ანგარიშზე თანდართული შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე არსებული ნარჩენების ლაბორატორიული კვლევის ანგარიშში წარმოდგენილი წიდის კომპონენტური შედგენილობა, მათ შორის, მასში ტოქსიკური ელემენტების შემცველობის გათვალისწინებით. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებით განსაზღვრული ქ. რუსთავის მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისი ფონური სიდიდეები და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არაორგანული მტკერი სილიციუმის SiO_2 20%-მდე (კოდი 2909) შემცველობით. (ბრძანება 297/ნ, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ);
- ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად მონიტორინგის განახლებული გეგმა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის (მათ შორის, წვის პროდუქტებზეც) საკითხები, ობიექტიდან 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე (უპირატესად დასახლების მიმართულებით, სულ მცირე, ს. თაზაქენდის და ს. კალინინოს

მიმართულებით). ასევე, ყოველკვარტალური თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება გაფრქვევის ყველა წყაროსა და ყველა მავნე ნივთიერებაზე. მიზანშეწონილია, ასევე, გაიზარდოს ხმაურის გავრცელების დონეების გეგმიური ინსტრუმენტული გაზომვის სიხშირე და განხორციელდეს ყოველთვიურად. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოების შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;

- გზშ-ის ანგარიშში არახელსაყრელი მეტეოროლოგიურ პირობებში ნაგულისხმევია მშრალი და ამავე დროს ქარიანი ამინდი (თავი 4.7.1, გვ. 37), ხოლო შესაბამისი შერბილებების ღონისძიებები სრულად არ შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს, შესაბამისად შემუშავებული უნდა იყოს არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში გაფრქვევების შემცირების და შემარბილებელი ღონისძიებები, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №8 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად, „სანაყაროს ტერიტორიაზე მოსული ატმოსფერული წყლები სრულად შეიწოვება ნაყაროს ზედაპირებიდან და სანიაღვრე წყლების წარმოქმნას და ტერიტორიის ფარგლებიდან გადინებას ადგილი არ აქვს“. ასევე, აღნიშნულია, რომ „საწარმოში განთავსებული და დამუშავების მიზნით შემოტანილი ნარჩენები წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენებს. ამასთან, აღნიშნული ნარჩენები არ განიცდიან მნიშვნელოვან ფიზიკურ, ქიმიურ ან ბიოლოგიურ ცვლილებებს; არ იხსნება, არ იწვის და არ შედის სხვაგვარ ქიმიურ ან ფიზიკურ რეაქციაში; არ განიცდის ბიოდეგრადაციას და სხვა მასალაზე არ ახდენს ისეთ გავლენას, რომელიც გამოიწვევს გარემოს დაბინძურებას ან ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას; ნარჩენის ჟონვადობა, ნარჩენში დამბინძურებელი ნივთიერებების შემცველობა და გამონაჟონის ეკოტოქსიკოლოგიური მახასიათებლები უმნიშვნელო ოდენობისაა და საფრთხეს არ უქმნის ზედაპირულ ან/და მიწისქვეშა წყლების ხარისხს“. ამავდროულად, მპს „რუსთავის ფოლადის“ წიდასაყარზე არსებული ნარჩენების ლაბორატორიული კვლევის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მარაგების მასშტაბებიდან გამომდინარე, ისინი განიხილება, როგორც დაბინძურების თვალსაზრისით გარემოსათვის შესაძლო საფრთხის შემცველი. ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებით მიმდინარეობს ნარჩენების ბუნებრივი ნაწილობრივი გამოტუტვა“. ამასთან ერთად, ამავე კვლევის ანგარიშზე თანდართულ მე-6 დანართში წარმოდგენილია ფილტრაციის გამონაჟონის ანალიზი, რომელშიც აშკარად ფიქსირდება გარკვეული კომპონენტები, მათ შორის, მძიმე მეტალებიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს ძირეულად დაზუსტებას და განმარტებას.

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ელენე ლუბიანური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/11109-21-2-202511051719>

